კლდე

№ 12

2 ქრისტიშობისთვე 1912

მიიღება ხელის მოწერა ფასი 1 წლ ,—5 მან. ამა 1912 წლ. დამლევამდე—1 მან. 50 კაპ., სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღია ყოველ დღე 11—1 საათ

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე

სარჩევი წინამძღოლის არჩევანი.—**ა—ისა**. კ. რ. გ. და თვით „მიუდგომელი“ გ. გვაზავა.—**რ. გ—ესი**. ბინდ-ბუნდისს.—**ი. სონღულაშვილისა**. სოფლის სკოლები.—**მროველისა**. სასოფლო ბრესა. სამეურნეო სწავლა-განათლება ბულგარეთში და სერბიაში.—**დ. ვ—ისა**. ფასი ევროპის საერთო ომიანობისა. წერილი Charles Richet—**ისა**: ჩვენი თეატრები.

წინამძღოლის არჩევანი

23-ს ქრისტიშობისთვეს საგუბერნიო მარშლის არჩევანია. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დიდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში. მისი მდიდარი ბიუჯეტი სავსებით კულტურულ და ეროვნულ საქმეს ხმარდება და სწორედ ეს გარემოებაა, რომ იზიდავს ჩვენს ყურადღებას. პრესა მოვალეა დარაჯად უდგეს ამ დაწესებულებას, რადგან სწორედ ეს დაწესებულება ჰკვებავს სხვა ჩვენ კულტურულ საზოგადოებათ. სასკოლო საზოგადოება, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, დრამატიული, წერა-კითხვისა, საადგილ-მამულო კომისია, მრავალი სასწავლებელი და მრავალი სხვა კულტურული საქმე ჩვენში, დეპუტატთა საკრებულოს უხვი დახმარებით არსებობს ამიტომ, პირადი შემადგენელობა დეპუტატთა საკრებულოსი მუდამ საზოგადოებისა და პრესის შეფასებით უნდა სდგებოდეს. ამ მხრივ, ვინ დაიკავებს ქრისტიშობის თვეში გუბერნიის წინამძღოლის ადგილს, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია და კანდიდატთა შეფასება დროზედ უნდა მოხდეს, რომ კიდევ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავცვივდეთ.

თავად-აზნაურთა წრეებში გამოურკვეველობაა. წარსულ მაისის კრებებს ისეთი შედეგი მოჰყვა, რომ არც გასაკვირველია ეს გამოურკვეველობა. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ბრძოლა წარსულ კრებებზედ ახალის კანდიდატისთვის კი არ სწარმოებდა, რომელიც უკეთესი იქნებოდა თავ. გ. ბაგრატიონზედ, არამედ მხოლოდ თავ. ბაგრატიონის წინააღმდეგ და, როდესაც ეგრედწოდებულმა „ოპოზიციამ“ ეს ბრძოლა თავად ბაგრატიონის გადადგომით დააგვირგვინა, ჩვენ მაინც უწინამძღოლოდ დავრჩით. ოპოზიცია გამოცხადდა წარსულ კრებებზედ უთავოდ—უკანდიდატოდ და, როდესაც გამარჯვებულს სურდა საზოგადოებისათვის თავი დაეკრა—იგი უთავოდ აღმოჩნდა. ეს იყო სასაცილო მდგომარეობა, რომელმაც შეიწირა მსხვერპლად თავ. სუმბათაშვილი.

წარსულ კრებებზედ თავად-აზნაურთა

ვნებანი ისე აენთნენ, რომ დავიწყებულ იქმნა გონიერება და ეს ვნებანი დაცხრნენ მხოლოდ მაშინ, როცა გააშავეს თავ. ბაგრატიონი. საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ასეთი მსხვერპლი სრულიადაც არ იყო საჭირო. უანგარო და თავდადებული მოღვაწეობა თავ. ბაგრატიონისა ღირსი იყო ახალის ნდობისა და, თუ ჩვენ ეს ვერ გამოვიჩინეთ, ეს უპირველესად ყოვლისა ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეგვითვისებია დაფასება ღირსეულისა.

მოგონება ამ ჟამად ზემო თქმულისა უადგილო არ არის. თავ. ბაგრატიონის მოღვაწეობა ეხლა წარსულს ეკუთვნის და თუ ვიგონებთ მას, იმიტომ, რომ მის წარსულ ღვაწლთან გავიხსენოთ ჩვენი წარსული შეცდომებიც.

თავად-აზნაურული წრეები კრიზისს განიცდიან. აღსანიშნავია უპირველესად ყოვლისა, რომ „ოპოზიცია“ ჩაიშალა. მეორე დღესვე ნათელი გახდა იმ წევრთათვის, რომლებიც მექანიკურად მიეწებნენ „ოპოზიციას“, რომ მათი ადგილი იქ არ იყო. აღსანიშნავია აგრედვე ისიც, რომ „ოპოზიციას“ ეხლაც არა ჰყავს კანდიდატი და იძულებულია ჩვენ განაპირა „მღვიმეებში“ სძებნოს იგი. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიშობისთვის კრებებზედ იგი ისევ უკანდიდატოდ მოვა.

სდუმს აგრედვე მეორე ჯგუფიც. იმიტომ კი არა, რომ მას არა ჰყავს ახალი კანდიდატი. მისი მდგომარეობა ტრაგიკულია იმით, რომ იძულებულია ხელი აიღოს თავის საუკეთესო კანდიდატზედ—თავ. ბაგრატიონზედ, რადგან ეს უკანასკნელი გადაჭრით უარს ამბობს ამაზედ.

ასეთია მდგომარეობა და სწორედ ეს მდგომარეობა გვაიძულებს გამოვსთქვათ ჩვენი პირადი მოსაზრება. ჩვენ არც მონანიებას უქადაგებთ ვისმე, არც იმ მოსაზრებიდან გამოვდივართ, რომ ისევ ძველი კერპი აღვმართოთ ბექობზედ. მხოლოდ ერთი მიუდგომლობა გვაიძულებს ვსთქვათ, რომ თავ. ბაგრატიონი ეხლაც კი ისევ ერთად ერთი ღირსეული კანდიდატია წინამძღოლის ადგილზედ. ამის პირველი დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ თვით „ოპოზიციაც“ კი ვერ შეჩერებულა ვიზედმე და თითი, რომელმაც უნდა გვიჩვენოს სასურველი კანდიდატი, უშედეგოთ დაყიალობს ჩვენს საზოგადოებრივ წყვდიადში. არ შეიძლება დიდხანს დავრჩეთ ასეთ პოზაში; პოზა გაშვერილის თითისა საშიში პოზაა და თუ დიდხანს დარჩა იგი, შეიძლება გაქვავდეს კიდეც.

სულ სხვა საკითხია, დათანხმდება თუ არა თავადი ბაგრატიონი. მაგრამ პრინციპიალურ ხასიათის საკითხთა გადაწყვეტაში, იმდენად თანხმობას არა აქვს მნიშვნელობა, რამდენიც თვით გადაწყვეტას. დეე, საზოგადოებამ სთქვას ვინა სურს მას თავ.-აზნ. წინამძღოლად, ამით ის მოიხდის თავის ვალს. და თუნდაც მისგან ნაჩვენებმა კანდიდატმა უარი განაცხადოს მის სურვილზედ, ამაში ბრალი საზოგადოებას აღარ დაედება.

ა. — ი.

კახეთის რკინის გზა და თვით „მიუდგომელი“ ბატონი გ. გვაზავა

ყველაზედ ადვილი საქმეა, როცა ადამიანი მოპიდაპირეს დებულებას გვერდს უხვევს, თითონ მოიგონებს რასმე და მოგონებულის წინააღმდეგ მსჯელობს.

მაგრამ ასეთი კამათი თუ ადვილია ერთის მხრით, მეორე მხრით უმგვანოა.

ბატ. გვაზავა აშენებს თავის „გზას“ („ზაკ. რეჩ“. № 269 და 271) იმ ყალბ დებულებაზედ, ვითომც ადგილობრივი პრესა ეწინააღმდეგებოდეს „კახ. რკ. გზის **გაფართოვებას** ბაქომდის“.

არ ვიცი, სად ამოიკითხა ესეთი სიცრუე, რადგან ვერ დავიჯერებ, რომ ბატ. გვაზავამ კითხვა არ იცის და ვერ გაურჩევია **გაერთიანება**, ორი გზის ცალკე ყოფნისაგან.

ადგილობრივ პრესაში კი („კლდე“, „ზაკავკაზიე“, „სახალხო გაზეთი“ და სხ.) არც ერთი სიტ-

ყვა არ დაძრულა სიღნაღ-ბაქოს რკ. გზ. გაყვანის წინააღმდეგ. პირ-იქით, ჩვენ ვამბობდით, რომ სიღ.-ბაქოს გზა კახეთისას მოუტანს შემოსავალს. და რომ არც თავად-აზნაურობაა იმ გზის წინააღმდეგი, ამის თავდებია ის, რომ თვითონ თავად-აზნ. ჰქონდა ფიქრად ს.-ბ. გზის გაყვანა შემდეგში.

ძირითადი ჩვენი დებულება ის იყო, რომ თავ.-აზნ. და ეროვნული ინტერესებისათვის ხელსაყრელი არ არის **გაერთიანება**, რადგან ეს სპობს ჩვენს პატრონობას კახ. რკ. გზაზედ. აქედან ცხადია იმ ნიადაგის სიყალბე, რომელზედაც აშენებს ბატ. გვაზავა თავის კამათს. მაგრამ ყალბი მდგომარეობიდან სოფისტიკა ფონს ვერ გაგიყვანთ. აბა უყურეთ, იურისტი იურიდიულ თვალსაზრისით უახლოვდება საკითხს და ამბობს იმ ხელშეკრულობის ნაკლზედ, რომელიც ბაგრატიონმა დასდო რუ. სეთ-აზიის ბანკთან; და ამ ნაკლიდგან გამოჰყავს ბანკის „უფლება“ კახ. რკ. გზის გაფართოებაზედ.

ვსთქვათ, მართლაც იურიდიულად კარგად არ არის შემუშავებული ის ხელშეკრულობა, განა ეს ნებას აძლევს ვისმე ისარგებლოს ამით? განა ყოველი პატიოსანი ვექილის მოვალეობა არ არის დაიცვას ის მხარე, რომელიც იურიდიული ხრიკების მსხვერპლად ხდება? განა მე რომ კარი ღია დამრჩეს,—ეს ქურდს ნებას აძლევს შემოვიდეს და გამცარცვოს? ვსთქვათ ასეთი კარი ღია დარჩა, განა ამით უნდა ისარგებლოს „მეგობარმა“ და გამიყიდოს სახლი? თუმანიშვილი კი ასეთი „მეგობარი“ აღმოჩნდა. მან მიჰყიდა თავისი კონცესია სწორედ იმავე ბანკებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან კახ. რკ. გზის ჩაყლაპვით. და ბატონი ვაზავა არამთუ ამართლებს, ვექილობას უწევს და უხარიან ხელშეკრულობის სისუსტე. მაგრამ არც ისე კარღია არის იურიდიულის მხრით, აღნიშნული ხელშეკრულობა. ყოველი ხელშეკრულობა, რომელიც შეეხება ორს იურიდიულ პირს, ჰგულისხმობს იმ უფლებათა ზომას, რომელიც მათ ეკუთვნის. არ შეიძლება მე კაცს პარობა მივცე, ესა და ეს უფლება შენი იყოს, თუ იგი უფლება ჩემი არ არის. „კახეთის რკინის გზის საზოგადოების“ წესდება კი მკაფიოდ ამბობს: 1) კახ. რკ. გზა გადის **ნავთლულიდან თელავამდე**. და 2) „საერთო სიგრძე კახეთის რკ. გზისა არის 174 ვერსამდე. საბოლოო პროექტის შედგენის დროს და აგრეთვე თვით **შენების** დროს, საზოგადოებას შეუძლიან შეცვლა გზის სიგრძისა, საგზაო მინისტრის ნებართვით, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს გაფართოება **არ აღემატებოდეს** 3%-ს საერთო სიგრძისას... და რომ ეს შეცვლა არ გამოიწვევდეს **საამშენებელო თანხის გადიდებას**“. ბატონო იურისტო, განა აქედან ცხადი არ არის, რომ წესდების შეცვლა იმ გვარად, რომ **გაგრძელება** ოთხჯერ მეტი იყვეს თითქმის (426 და 174), ძირითად გზაზედ,—ყოვლად უკანონოა? რომ იგი მთლად ყირამალა აყენებს კ. რ. გ. ს. უფლებას და თქვენი იურიდიული ხრიკები იმის შესახებ, რომ მეოთხე მუხლი ხელშეკრულობისა ნებას აძლევს ბანკს, გარდა 39—43 §§, წესდების სხვა პარაგრაფების შეცვლისაო—მტკნარი სიყალბის დაცვა არ არის? და თუ § 8 ხელშეკრულობისა (?) ნებას აძლევს ახალი აქციების გამოშვებისა, ეს განა არ განისაზღვრება იმავე წესდების მეორე მუხლით, საცა ნათქვამია, რომ **„გადიდება** საამშენებლო თანხისა — აკრძალულია“?

ასე რომ, თავ.-აზნაურობისათვის საჭიროც არ იყო წესდების ყოველი მუხლისათვის ცალკე პირობა დაედო, რადგან საფრთხეც არ მოელოდა თვით წესდების ძალით, და თუ ბანკები სარგებლობენ იურიდიულ ხრიკებით და ყირაზედ აყენებენ არა მარტო წესდების აზრს, არამედ მთელი „კახ. რკ. გზ. საზოგადოების“ დანიშნულებას,—ამის გამართლება მარტო გვაზავასთანა გაოსტატებულ ადვოკატებს შეუძლიანთ. ამისთვინ გვაზავა რყვნის თვით მუხლის აზრსაც და ამბობს, ვითომ ახალი აქციების გამოშვება ნება დართულია გზის გაფართოებისათვის, მაშინ როდესაც ეს ჰგულისხმობდა მხოლოდ იმ შემთხვევას, როცა საამშენებლო თანხა არ ეყოფოდა **განსაზღვრულ გზის სიგრძეს** ნავთლულიდან თელავამდე. და აი ამასთანა „უმწიკვლო“ დებულებიდან გვაზავას გამოჰყავს დასკვნა: „თავ.-აზნ. **არა აქვს უფლება** წინააღმდეგობა გაუწიოს გზის გაფართოებას“.

ძალიან შესაძლებელია, რომ გაიძვერა ადვოკატებმა გვაზავაზედ ხელოვნურად დაამტკიცონ ამ უფლების დაკარგვა თავ.აზნაურობისაგან, მაგრამ საკითხი განა ამაშია?

თავი და თავი ის არის, თუ რა არის დღეს **სასურველი**, და როცა ბატ. იურისტი იცავს ბანკების უფლებას, წინააღმდეგ თავ.-აზნ., რაიმე საზოგადო მოსაზრებით მაინც უნდა ხელმძღვანელობდეს და რა მოჰყავს ასეთი ბატ. გვაზავას? 1) თავ.-აზნ. პატრონობა კახ. რკ. გზაზედ საზარალოა თვით თ.-აზნ., რადგან კახ. რკ. გზა შემოსავლიანი არ იქნებაო. 2) ჩვენი მხარისათვის სჯობია გაერთიანება ს.-ბ. გზასთან, რადგან ეს შემცირებს ტა-

რიფს. ვსთქვათ კახ. რკ. გზა შემოსავლიანი არ იქნება; გვაზავას ტყუილად ჰგონია, რომ ეს გზა მხოლოდ კომერციული მოსაზრებით დაიწყო თავ.-აზნ. და საზოგადოების სიმპატიაც ამით დაიმსახურა. კახ. რკ. გზის **არსებობა** თავის თავად დიდი განძია, და როცა იგი ჩვენ ხელში იქნებოდა, მაშინ ერთი ათად უდიდესი. მაგრამ თუ გვაზავას ჰგონია, რომ კახ. რკ. გზა უსიღნაღ-ბაქოს გზოთ შემოსავლიანი არ იქნება, ვინ არის დამშლელი სიღ.-ბაქოს გზის ცალკე გაყვანისა? პირიპით, ჩვენ მოხარულნიცა ვართ და საკითხი ის არის, თუ **გაერთიანება** რა შემოსავალს შეგვმატებს? ამაზედ კი ბატონი გვაზავა არაფერს ამბობს და ვერც იტყვის.

მეორე მხრით, ყველასთვის ცხადია, რომ ტარიფი შემცირდება სიღნაღ-ბაქოს გზის გაყვანით, იქნება იგი მიწებებული კახეთის გზასთან, თუ ცალკე იქნება, და ამ მხრივ არავითარი საფრთხე არ მოელის ჩვენს მხარეს.

აი ამ დროს გადმომდგარა გვაზავა და ციანიკურად ამბობს: „მარტო სურვილი საკმარისი არ არის, საჭიროა შეძლებაც". საზოგადო მოღვაწისათვის ეს ფრიად უცნაური სიტყვებია: კაცმა სურვილიც დაიხშოს, თუ შეძლება არა აქვს? (მერე რუსეთის სახელმწიფოში). მაგრამ თავად-აზნაურობას, სურვილს გარდა შეძლებაცა აქვს და ექნებოდა მეტი, რომ გვაზავასთანა და თუმანიშვილისთანები არა ჰყავდეს, რომელნიც არ ერიდებიან არავითარ სიცრუეს და სიმრუდეს, რომ თავისი კერძო საქმე გაიყვანონ. აი მაგალითად, როგორ უხვევს თვალებს საზოგადოებას ბატ. გვაზავა და მოჰყავს „კომპეტენტური" აზრი იმ ბანკისა, რომელიც დაინტერესებულია მარტო იმით, რომ აქციების ფასმა აიწიოს და თუნდა ორთავ გზა ერთ დღეს დაიღუპოს ამის შემდეგ, — მისთვის სულ ერთია. მაგრამ ეს დამოწმება მელასაგან თავის კუდის მოწმად მოყვანასა ჰგავს და კარგად ახასიათებს თვით ბატ. გვაზავას, რომელსაც ალბად ისეთივე ინტერესები ალაპარაკებენ, როგორც სავაჭრო-სამრეწველო ბანკს. რომ თავისი გაიყვანოს, გვაზავა არ ერიდება არა მარტო დამახინჯებას წესდების ზოგიერთი მუხლისას, იგი პირდაპირ სცრუობს კიდეც: „თვით წესდების ძალით, ყველა მთავარი მოსამსახურე თხოულობს ან დანიშვნას, ან დამტკიცებას საგზაო მინისტრისაგან." ჯერ ერთი დანიშვნასა და დამტკიცებას შუა ისეთი განსხვავებაა, რომ სწორედ იურისტს არ ეკადრება მათი შერევა და, მეორეც **დანიშვნაზედ** წესდებაში არაფერი არ არის ნათქვამი. პირიქით, საააქციონერო საზოგადო კრებას უფლება აქვს **ამოირჩიოს** დირექტორები, გამგეობა, რომელიც **თავის მხრით** ნიშნავს **ყველა** მოსამსახურეს. ესეც არ იყვეს, განა როცა **დამტკიცებაა** ხოლმე საჭირო, იქ საზოგადოება თავისუფალი არ არის არჩევანში? აბა გაიხსენეთ ბანკები, სკოლები და სხ. ბატ. გვაზავა? ვინ იურისტი და ვინ ასეთი შერევა ცნებათა?

„მიღება დაბალ მოსამსახურეებისა კი, დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებისაგან; ცოდნა-მომზადებისაგან და ჯამაგირის რაოდენობისაგანაო" — განაგრძობს გვაზავა. ეს განა ბავშვური ლაპარაკი არ არის? სირცხვილი არ არის ასეთი სისულელეების თქმა? განა ადგილობრივ პირობებს ჩვენ უკეთ არ ვიცნობთ, ვიდრე სხვა ვინმე? დარწმუნებული ვარ, თვით გვაზავაც კი უკეთ იცნობს, ვიდრე საგზაო მინისტრი. „ცოდნა-მომზადება"? მერე სად იყო ლაპარაკი იმაზედ, რომ უვიცნი და ჩერჩეტები მიელოთ რკ. გზაზედ? აბა ეს რაღა სათქმელია, სირცხვილი არ არის? იქნება თვით გვაზავასთვისაც ჩაებარებინათ ეს არჩევანი და, დარწმუნებულნი ვართ, რომ... ეჰ არა ღირს. და, წარმოიდგინეთ, მოსამსახურეთა **მიღება** დამოკიდებულია ჯამაგირის რაოდენობისაგანაც კი. იქნება გვაზავას უნდა ეთქვა, რომ **ღირსება** მუშისა დამოკიდებულია ჯამაგირის რაოდენობისაგან, მაგრამ მაშინ რა საჭიროა აქაც შერევა ცნებათა? და მთელ ამ უაზრო ტირადას გვაზავა ათავებს ასეთის ლოდიკურის დასკვნით: „საზოგადოთ, სინეკურები (ე. ი. უსაქმური და ამასთანავე ფასიანი ადგილები) არ არის და არც შეიძლება იყვეს იმისთანა დაწესებულებაში (предпріятіе), საცა თვით მთავრობა იღებს თავის თავზედ ერთგვარ მოვალეობას". რასაკვირველია, კარგია და მეტად ლოიალურიც, როცა ამისთანა წარმოდგენა გაქვს მთავრობაზედ, რომელსაც, საუბედუროდ, ათასობითა აქვს სინეკურები ყველა „დაწესებულებაში, საცა იგი იღებს ერთგვარ მოვალეობას თავის თავზედ", მაგრამ აქ რა მოსატანია ესა? ან იქნება თავის ლოიალიზმში იქამდი მიდის ბატ. გვაზავა, რომ სხვა რეაქციონერებთან ერთად ფიქრობს, რომ ქართველებს არ შეუძლიანთ მუშაობა და მარტო სინეკურებს ეძებენ? ბატ. გვაზავა განა ეს საკადრისია?

„ყველა თანახმაა, განაგრძობს გვაზავა, გარდა იქნებ აწინდელ შემადგენელობისა დეპუტატთა და მარშლებისა, რომ **გაფართოება** (აბა უყურეთ, როგორ უშნოდ ყველგან სჩხირავს სიტყვას **გაფარ-**

თოვებას იქ, სადაც ლაპარაკია **გაერთიანებაზედ**) აუცილებლად საჭიროა კახ. რკ. გზისათვის". არც „აწინდელი შემადგენელობა დეპუტატთა და მარშლებისაა" წინააღმდეგი ამ გაფართოვებისა (წინააღმდეგია მარტო შეერთებისა) და გინდაც ყოფილიყო წინააღმდეგი, — საზოგადოება და პრესა ხომ თავ.-აზნაურობა არ არის. და თუ ამისთანა ცნებათა არევ-დარევაში გვაზავა „ხედავს, საიდან უბერავს ქარი , ეს „ქარი" მისი საკუთარი თავიდგან არის... გამოგონებული.

, მთავრობა და კახ. რკ. გზ საზოგადოება **თანხმანი** არიან, რომ სიღ.-ბაქოს გზის გაუყვანლობით, კახ. რკ. გზა გაილევა-მოკვდება". ესეც სიცრუეა. არსად ეს არავის არ უთქვამს: მთავრობამ ნება დართო კახეთის რკინის გზა **მაშინ**, როცა სიღ.-ბაქოს გზის პროექტიც არსადა ყოფილა, მაშასადამე **მთავრობა** ამას არა ფიქრობდა, და არ მისცემდა თავის გარანტიას სამკვდროდ გადადებულ გზას. მეორე პირი ამ **თანხმობისა**, კ. რ. გ. საზოგადოება, რასაკვირველია ასეთი აზრისაა, რადგან კ. რ. გზის საზოგადოება **ეხლა**, ვიდრე გზა შენდება, ფაქტიურად ბანკია. მაშ რა მნიშვნელობა აქვს, ან რა საბუთად მოსაყვანია აზრი იმ ბანკისა, რომელიც ძირს გვითხრის და გზას ხელიდგან გვაცლის? ასეთი საბუთებით და მოწმობით სახელმწიფო სასამართლოს წინაშეც ვერ გამოვა, არამცთუ საზოგადოების სამსჯავროში, ბატ. ვექილი, რადგან იურიდიულად ამისთანა მოწმეს ჰქვიან გაწბილებული მოწმე (опороченный), რაკი იგი დაინტერესებულია. ჩვენ ბანკს ვებრძვით და თქვენ კი ის მოწმედ მოგყავთ, ბატ. გვაზავა?

მაგრამ, დავეთანხმოთ გვაზავას, რომ კ. რ. გზა შემოსავლიანი არ არის, თუ ს.-ბ. გზაც არ იქნება. ხომ ს.-ბ. გზის ცალკე გაყვანაც ასწევს კ. რ. გ. შემოსავლიანობას? წარმოვიდგინოთ ისეთი უკიდურესი მდგომარეობაც, რომ ს.-ბ. გზა, ცალკე არსებული, მაინც არ გარდაჰქმნის კ. რ. გზას შემოსავლიან გზად.

რა დაუშლიდა მთავრობას, თავ.-აზნაურობას, კახ. რკ. გზის საზოგ. და ჩვენ საზოგადოებას, აი სწორედ **მაშინ** ეფიქრა შეერთებაზედ, როცა ყველანი ცხადათ დაინახავდნენ, რომ კ. რ. გ. მართლაც შემოუსავლიანია?

ჩვენ ჩვენსას უნდა ვეცადნეთ, დამოუკიდებელნი გავხდეთ, და როცა გვაზავასთანა ყვავების ჩხავილი გამართლდება, — განა მაშინ ძნელია შეერთება, განა მაშინ არ შეგვეძლება უხეირო პატრონების მაგიერ შემოსავლიან აქციების ხელში მჭერელად გადავიქცეთ?

მაგრამ გვაზავამ სხვებზე ცუდათ არ იცის, რომ კახეთის გზა თავის თავადაც შემოსავლიანია, მაგრამ რა ქნას რომ, გინდა თუ არა, უნდა დაიცვას თავისი პატრონი და ამისათვის არ ერიდება გადარევას ერთმანეთში იმისთანა ცნებათა, როგორც გაერთიანება და ორგზის ცალცალკე ყოფნა, გაფართოვება და გადაყლაპვა, თავ.-აზნ. და ადგილობრივი პრესა. მაგრამ ამისთანა აბრუნდებით შორს ვერ წახვალთ. და თქვენი მასხარად აგდება დ. ჩოლოყაშვილისა, რომელიც ვითომ „მორალურის" მოსაზრებით მიდის პეტერბურგში, ამტკიცებს მართლაც ჩვენი საზოგადოების დემორალიზაციას. მაგრამ ეგებ ის, რაც „უმორალო იურისტს" სიცილადა არ ჰყოფნის, იმ ძალად გადაიქცეს, რომელიც დაიხსნის შეცდომით და თქვენისთანების იურიდიული ხრიკებით გამარჯვებულებისაგან — ეროვნულ საქმეს. მით უფრო რომ, მარტო მორალი კი არა, არამედ ლოღიკაც, წესდებაც და მართლაც მთელი საზოგადოების სიმპატია ბაგრატიონისა და ჩოლოყაშვილის მხარეზე იქნება, რომელთაც შეჰქმნეს და ღირსეულად უძღვებოდნენ ამ საქმეს. დეე, მომავალმა დაამტკიცოს ყველას გულწრფელი მოქმედება და საქციელი თქვენისთანა ხალხისა, რომელნიც ფეხებში ეჩხირებით, დახმარების მაგიერ. და თუ გვაზავა თამამად აცხადებს, რომ ჩვენი აზრი, საზოგადოების აზრი არ არის, არამედ თავ.-აზნაურობისაო, წაიკითხოს №№ 760 და 761 „სახალხო გაზეთისა", ამ თავად-აზნ. დაუძინებელ მტრისა, წაიკითხოს წერილი „онъ же"-სი იმავე „ზაკ. რეჩისა", საცა თითონა სწერს, და დარწმუნდეს, თუ საით იხრება საზოგადოების მსჯავრის სასწორი. „საზოგადოებრივი აზრი" საბედნიეროდ, ჯერ არ შემცირებულა და არ დაკნინებულა მარტოოდენ გვაზავას აზრამდე.

და როცა ბატ. გვაზავა ასეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს ხსნის, როგორც ბრძოლას პიროვნებათა შორის, სხვა არა გვეთქმის რა, გარდა ერთისა: სიცხვილია, სირცხვილი! გვეძლევა დიდი საქმე, უნდა დაიცვათ საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესები, გამოექომაგოთ ჩვენს ნამდვილს ინტერესებს და თქვენ კი... ბოროტად გამოსდგომიხართ კინკლაობას, რომ ამით მიაფუჩეჩოთ ნამდვილი ზრახვანი საზოგადოებისა და თქვენი; ეს განა ეკადრება თქვენისთანა „მიუდგომელ" მოღვაწეს? მაგრამ „მდგომარეობა გაძალებთ", განა?

არ ახალია, ძველია: სუსტნი ვართ, სუსტნი

ანგარების წინაშე... და გვაზავაც ისე მოიქცა, როგორც მოანგარიშე და არა წრფელი ქართველი საზოგადო მოღვაწე.

რ. გ.

ზინდ-ზუნდისას

(რეიმონტიდან)

იწვა „შევარდენი“ და კვდებოდა.

ბევრმა, ბევრმა დღემ გაიარა მას აქეთ, რაც დავარდა და გაადაგდეს უვარგისი მძორივით.

კეთილმა ხალხმა არა ბრძანა, ბოლო მოუღეთ შევარდენსაო, თუმცა მშვენიერი ტყავი ჰქონდა.

კეთილმა ხალხმა ნება მისცა ნელ-ნელა მომკვდარიყო, მარტო, დავიწყებული.

კეთილი ხალხი ეხლა მხოლოდ მუჯლუგუნითღა აჯილდოვებდა შევარდენს და ისიც ხანდიახან აგონებდა, დროა მოკვდე, მეტად მძიმე-მძიმედ ირჯებიო.

აღარავის ეპრიანებოდა „შევარდენი“, აღარავის.

ხანდისხან მონადირე ძაღლები თუ დახედავდნენ ხოლმე, რომლებთანაც ერთად დაფრინავდა ნადირის დევნაში.

მაგრამ რა, ძაღლებს სული აქვთ გაწუწკებული, ადამიანებ შორის ტრიალით. გაიგონებდნენ თუ არა პატრონების ხმას, მაშინვე შორდებოდნენ შევარდენს. მარტო ბებერი, ბრმა მეძებარი ძაღლი „თათუნა“-და რჩებოდა შევარდენთან ყველაზე დიდხანს და ისიც თვლემაში ატარებდა დროს დარის ქვეშ. თათუნა მოწყენილობას გრძნობდა თავის ძველ ამხანაგთან; ეშინოდა ბებერი ცხენის ცრემლმორეულ და სევდით სავსე დიდრონი თვალების, რომლებიც შველას იხვეწებოდნენ.

ყოველთვის მარტო იყო შევარდენი, ყოველთვის.

ეს კი იყო, ხან სიცხით გაბრუებული, მხიარული, წკრიალა მოვარდისფერო ოქროს დღეები მოსდიოდნენ სანახავად და ულოკავდნენ თბილი სხივოსანი ენით, დაწყლულებულ გვერდს, ხან — რუხი დარდიანი დღეები, რომლებსაც მწვანე პირი-სახეზე წურწურით ჩამოსდიოდათ წვიმის ნაკადები, ხან — სასტიკი დღეები, რომლებსაც ცივი ტანჯული თავები ქარიშხლითა და ღრუბლებით ჰქონდათ მობურული. დაღონებული, გულნატკენი დღეები ტირილით ავსებდნენ თავლასა, თვითეული მათგანი დიდხანს, დიდხანს აცქერდებოდა უძლურ ცხენს თვალებში და მერე, თითქოს წუხილით, შორდებოდა წყნარად.

შევარდენს მხოლოდ ღამეების ეშინოდა.

ეშინოდა პატარა, მაგრამ სულის შემხუთავ, ყრუანტელ მომგვრელ თიბათვის ღამეებისა, რომლებიც სავსე იყო ამაღელვებელ საიდუმლოებითა და საშინელებითა.

ამისთანა ღამეებში შევარდენმა იცოდა, რომ კვდებოდა, და ირეოდა შიშისაგან, სწყვეტდა თოკსა, ანგრევდა წიხლებით კედლებს და ლამობდა წასვლას, გაქცევასა...

ერთხელ, როცა მზემ იწყო ჩასვლა, წამოიჭრა ფეხზე, დააცქერდა ზოლებს სინათლისას, რომელიც იბნეოდა კედლების ნაჭვრეტებიდან, მორთო სცოდავად ხვიხვინი...

პასუხიც არავის გაუცია ამ მძიმე და მძინარა სიჩუმით მოცულ სიცხიან დღეში.

გარშემო მერცხლები დასრიალებდნენ, ჭიკჭიკებდნენ ბუდეში, ეკიდებოდნენ კედლებს, ან კიდევ, ფრთიანი ისრებივით, აპობდნენ ოქროს გუნდებს ბუზებისას, რომლებსაც ბზუილი გაჰქონდათ შუქმოფენ ზოლებში.

შორეულ სათიბებში კიდევ ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გულის დამღაგველი, ბასრი ჟღრიალი ცელებისა.

მინდვრებიდან, ზღვა ყანებიდან, ყვავილებიდან, მიდი-მოდიოდა მზით გაბრუებული ათასი ხმა — შრიალი, ჩამი-ჩუმი, ჩურჩული.

მხოლოდ აქ, შევარდენთან, დამყარებულიყო უზომო, საშინელი სიჩუმე.

ცხენი აკანკალდა. შემოისმა რაღაც ყრუ, შორეული ჩურჩული, რომელიც უფრო და უფრო ახლოვდებოდა და საშინლად გრიალებდა ცარიელ თავლაში...

შავი, საზიზღარი შიში ჩაეჭრა გულში შევარდენს, აწყვიტა ჯაჭვი და გავარდა ეზოში.

მზემ თვალები აუჭრელა და მწარე ტკივილმა დაუწყო შიგნეულობის წიწკვნა. შევარდენმა ჩაჰქინდრა თავი. დიდხანს იდგა ასე, ვერაფერსა გრძნობდა. მაგრამ აი გამოირკვა, ცოტა-ცოტად მასში იწყო გაღვიძება მოგონებამ, მინდორ-ველების და ტყეების რაღაც გამოურკვეველმა სახემ. გულში გაქცევისა, სივრცისა და სიცოცხლის წყურვილი აღეძრა.

გატაცებულმა ამ ყრუ ალღოთი, იწყო ძებნა გასასვლელ კარისა.

ერთხელ შემოუარა მთლიანად ოხკუთხს ეზოს, რომელიც სამმხრივ შემოფარგლული იყო შენობებითა, გასავალი ვერსად ნახა. მეორედ შემოუარა ვერც მაშინ ნახა, შემოუარა მესამედ, მეოთხედ... და ბოლოს როგორც იყო მიაწყდა ერთ ტერუშელს, რომლის იქით ბატონის სახლი მოსჩანდა.

წყნარად, სცოდავად და თხოვნის კილოთი დაიხვიხვინა ცხენმა.

ძლივსღა იმაგრებდა ფეხსა, ყოველი მოძრაობა აუწერელ ტანჯვასა ჰგვრიდა და გაღიზიანებულ წყლულიდან სისხლის ნაკადები გადმოსდიოდა.

შევარდენმა ისევ გასავალს დაუწყო ძებნა: ხლებდა თავს ტერუშულზე და ჩასისხლიანებულ თვალებით უცქეროდა ბატონის სახლს.

მხოლოდ ერთად ერთი სიტყვა, ერთად ერთი ადამიანური ალერსი კი გაეგონა და მერე დაწვებოდა და მოკვდებოდა.

ჭაჭანებაც არსად იყო, ყველგან სიჩუმე და ძილი სუფევდა.

გამწარებულმა შევარდენმა ტერუშულის წნელებს დაუწყო ღრღნა, აფრინდებოდა კბილებით ტერუშულში გაკეთებულ კარებს და აწვებოდა მთელი თავისი ტანით. კარი გაიღო, შევიდა ის ბაღში და პირდაპირ დერეფნისაკენ გასწია.

არავის გაუგონია იმისი საცოდავი ხვიხვინი. დიდხანს იდგა და უცქეროდა ფარდა-ჩამოშვებულ ფანჯრებს, ცდილობდა კიბეზე ასვლას და ყოველ მხრივ უვლიდა შენობას.

უცბად, თითქოს ყველაფერი დაავიწყდა და დაინახა თავისუფალი ფართო ადგილი, ზღვა ყანისა და მინდორით, გასწია წინ ბორძიკით და ბარბაცით, მოჯადოვებულმა სივრცის თვალუწვდენელობითა.

* *
*

გაზაფხული სრული ძლიერებითა მღეროდა.

ტალღებივით ადი-დადიოდა მაღალი ყანის თავთავები, ხმაურობდა, როგორც ზღვა ქვიშიან სანაპიროზე, და ზღვასავით ერთსა და იმავე ჰანგზე ირხეოდა. ჰაერში ტოროლები დანავარდობდნენ და ზარის ხმაზე საგალობლებს აწკრიალებდნენ. იონჯის, და ყანის სურნელება უჩინარ ტალღებად იბნეოდა ჰაერში. ძირს, ზედ დედამიწაზე, ბალახებში, ყვავილებში და სქელ ყანაში ათასნაირ არსების მთელი ზღვა მხიარულების ჰიმს ამბობდა. ნაზი, თბილი, მოალერსე სიო ეფინებოდა დედამიწას, შლიდა ყვავილების ფურცლებს, ანაოჭებდა წყალს, დაშრიალებდა ტირიფების ნორჩ ტოტებს შორის, აყენებდა ყვავილების მტვრის ბუქსა, მხიარულად გუგუნებდა ტყეში და საერთო ჰარმონიას თავის ტკბილ სალამურისებურ ხმას უერთებდა.

ათასნაირ ხმაზე გაისძახოდა ბუნება სიხარულისა, განცხრომისა და სიცოცხლის დიად და ძლიერ სიმღერასა.

მარტო მინდვრებიდან-ღა გაისმოდა მწყობრი ჰანგების დამრღვევი, მწყვლელი და გულსაკლავი ხმა ცელებისა.

შევარდენი აკანკალდა, საშინელმა მწარე ტკივილმა გამოარკვია გაბრუებისაგან; ბალანი აებურძგნა და თვალებზედ ტანჯვის თეთრი ბურუსი გადაეფარა. მძიმედ სუნთქავდა, ლოკავდა ბალახსა და იგრილებდა გახურებულ ნესტოებს; წყურვილი ჰკლავდა, შავბნელი შიში მიერეკებოდა წინ, გადარჩენის უძლეველი სურვილი მიარბენინებდა.

ყანა-ყანა მიდიოდა და ფეხი უკანა რჩებოდა, სიარული უძნელდებოდა და ნამძინარევივით მიაბიჯებდა: ბორძიკობდა ნაღარებში, ბალახი ეხვეოდა ფეხებზე და ძირს ეწეოდა, ბუჩქები ეღობებოდნენ გზაში და ნიადაგი ენგრეოდა ფეხებ ქვეშ, ხანდის ხან კიდევ მაღალი პური ეფარებოდა თვალებში და უშლიდა შორს ცქერასა.

შევარდენის საწყალი ბრმა სული უფრო და უფრო სქლად ეხვეოდა საშინელებითა და საზარლობით სავსე დამეში.

ვერაფერსა სცნობდა, ყველაფერისა ეშინოდა, და როგორც ბურუსში გახვეული, ისე მიდიოდა, დაბრმავებული, შიშისაგან გადარეული; აღარაფერი ახსოვდარა.

თვალწინ ბარტყებიანი კაკაბი აუფრინდა. შევარდენი განზე გახტა დამფრთხალი ფრინველის განწირულ კაკანზე და დაუწყო ცქერა ველებს. დიდი ხანი იყურებოდა გარშემო და ვერ ჰბედავდა განძრევას.

კურდღლების ფაჩუნზედაც შიშით სული ელეოდა შევარდენს და უგზო-უკვლოდ გარბოდა თავზარდაცემული.

ყორნები ნელ-ნელა დასტრიალებდნენ მინდვრებს და, როცა უძლურ ცხენს თვალს შეასწრობდნენ, სხდებოდნენ მსხალზე და დიდხანს ჩხაოდნენ უბედურების მომასწავებელ კილოზე.

შევარდენი კანკალებდა და თეთრი ხავერდოვანი ტყავი ეკრუნჩხებოდა.

ბოლოს, როგორც იყო, მიაღწია სათიბ მინდვრებს და მოქანცული დაეცა კედელივით ამართულ იქვე მდგარ ყანის ძირში, გაჭიმა ფეხები, მიეკრო თავით მიწას და დაუწყო ცქერა ცის სივრცეს. საცოდავად კვნესოდა და შებრალებას თხოულობდა.

ყორნები ხეებიდან ძირს ჩამოფრინდნენ და ბალახებში ხტუნვა დაიწყეს. სულ ახლოს და ახლოს მიიწევდნენ მომაკვდავისაკენ.

ყანაც იხრებოდა და ჩასცქეროდა შევარდენს ყაყაჩოს წითელი თვალებით, საშინლად უბრიალებდა გვირილის დამპალ თვალებით.

ყორნები სულ ახლოს იყვნენ, ნისკარტებს თხუნელის ბორცვებზე ილესავდნენ, იფანტებოდნენ და ისევ მიდიოდნენ წინ, უვლიდნენ ყოველ მხრიდან, ხტუნავდნენ საწიწკნავად დამზადებულ კლანჭებზე, ან კიდევ ისეთნაირ ნელი, სისხლისმსმელის ხმით და ისე ახლოს გაუვლიდნენ ხოლმე ფრენით თავზე შევარდენს, რომ

სატოდავი ჭხედავდა მათ საზარელ მრგვალ თვალებს და ნახევრად გადებულ მოკაუჭებულ ნისკარტებს.

მაგრამ შევარდენს აღარ შეეძლო გაქცევა. მომაკვდავი უკანასკნელმა სიცხიანმა წუთებმა ბოდვის და მოჩვენებების მორევში გაახვიეს.

ცხენი ცდილობდა წამოხტომას; თითქოს კისერზე ადამიანის ხელსა გრძნობდა... აგდებდა ენას და თითქოს ვიღასაც ხელის გულს ულოკავდა... მთელ თავის ტანის ნაწილებს ძალას ატანდა... ვიღაც აღერსიანად უსვამდა ხელს... შევარდენი მოუთმენლად სცემდა ფეხს მიწასა...

ასე ეგონა, მიდის... მინდორშია... ყურებსა სცქვეტს... ძაღლები იყეფებიან... იცის რასაც ჰნიშნავს ესა... იძვრება ადგილიდან... მიჰფრინავს... იჭიმება სიმივით... ეკვრება მიწასა... ვერც ღობეები და ვერც თხრილები იკავებენ... ქარს ეჯიბრება... წინ მიეშურება უფრო და უფრო დიდის სისწრაფით... გვერდებში დეზები იგრძნო... იკრებავს მთელ ძალ-ღონეს... წყნარად ხვიხვინებს... გიჟური ნეტარებით მიჰქრის რაც ძალი და ღონე შესწევს... მისდევს უკან ძაღლებს, რომლების ყეფა უფრო შორიდან და შორიდან მოისმის... შორიდან მოდის... ოდნავ და აღწევს ყურამდე...

ფიზიკური ტკივილი ისეთი ძლიერი იყო, რომ ცხენმა საზარლად დაიხვიხვინა... და წამოიჭრა ფეხზე.

ყორნები ჩხავილით მოშორდნენ თავიდან.

შევარდენი უკვე ვეღარაფერს სცნობდა, აღარაფერი ესმოდა, მხოლოდ თავზარდაცემული-და ხედავდა, რომ ყველაფერი ქანაობდა, მოძრაობდა, ინგრეოდა... სათიბები სწრაფად და სწრაფად მიიწევდნენ მისკენ... რამდენიმე ნაბიჯით უკან გადახტა, მაგრამ აქედან ყანები მოგორავდნენ უზარ-მაზარ ტალღებად, ძირს იწევდა, ხან მაღლა ადიოდა და სულ ყრუ ხმაურობით ახლოვდებოდა...

შევარდენმა მოჰკურცხლა... ტყე გადაელობა წინ, უზარ-მაზარი, შავი, საზარელი ტყე, რომელიც მძიმედ, მაგრამ მრისხანედ იხრებოდა... ერთი წამიც და დევები დაეცემიან ზედ და გასჭყლეტავენ...

უგუნურებამ შეიპყრო შევარდენი, ეცა სათიბებს, საიდანაც ადამიანის ხმები ისმოდა, გაექანა სახლისაკენ, მაგრამ ფეხებს უფრო და უფრო ძლივს-ძლივობითა სდგამდა, ჭაობებში ეფლობოდა, გზაზე კიდევ ღრმა არხები ეღობებოდა და აშინებდა ყანჯაროს ფერი დამპალი წყალი, რომელშიაც მრავალი ბაყაყი ფუთფუთებდა და ყიყინებდა ყრუ, დაღვრემილი ხმით.

მდინარეც გადაეღობა გზაზე. ძალაგამოლეული დაეცა შევარდენი წყლის ნაპირასა და ყველაფერი დაავიწყდა.

ბუზებსაც კი აღარ იგერიებდა. არ მირბოდა, არ დგებოდა ფეხზე, არ ეხეთქებოდა, ედო თავი და კვნესოდა ტკივილისაგან. კანკალებდა მთლიანად და იკრუნჩხებოდა საზიზღარ გამოუთქმელ შიშისაგან.

* * *

მზე თითქმის ჩასული იყო, რუხი, მძიმე ბინდ-ბუნდი ახლოვდებოდა ტყეების მხრიდან, ივინებოდა ნელნელა, იმალებოდა ბუჩქებში, მოცოცავდა ყანებში და ბურუსის სველ, ტლანქ სუდარად ეფარებოდა საძოვარ მინდვრებს.

უკანასკნელი სხივები, მომაკვდავის თვალებივით მოუსვენრად ცახცახებდნენ, აკვდებოდნენ ბუნების ყველა ფერადებს, ისროდნენ ანარეკლებს ფოთლებზე, ლოკავდნენ წყალსა, იბნეოდნენ სავრცეში და ღამისაგან დაფლეთილები სულსა ლევდნენ.

ზაფხულის საღამოს საზარელი სიჩუმე ვარდებოდა, სიჩუმე მოცული საზარელი, ყელწაჭერილი კვნესით, სიკვდილის სუნით, სულშეგუბებულის ყვირილით, ბრძოლით, ხოცვით და საერთოდ ყველა იმით, რაც ხშირად ხდება ბუნების შორის.

ბინდ-ბუნდი გამეფდა, ყველა ხაზები გათანასწორდა, ფერადები მიილია ტალახიან, რუხვ, შიშის მომგვრელ სიბნელეში.

საზარელი, თვალუწვდომი ყოველნაირ მოჩვენების სახეები ირეოდა დედამიწაზე.

შევარდენმა მოულოდნელად წამოიწია, მოიკრიბა უკანასკნელად ძალა განწირულებით, დაეცა წინა მუხლებზე და დაიწყო გონებადაბნეული თვალების ბრიალი სიბნელეში. იქ, სადღაც შორს, ბნელ უკუნეთში მოჰქროდა სიკვდილის საშინელი აჩრდილი—გამკამა თეთრი ჩონჩხი უზარმაზარი ცხენისა. ჩონჩხი აშკარად მოსჩანდა სიბნელეში, ისმოდა მისი ყრუ თქარა-თქური, შემდეგ ერთ წუთას ჰქრებოდა და მერე ისევ ჩნდებოდა, სულ ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა. ჩონჩხის წიბოების შორის ათასობით ფუთფუთებდნენ ყორნები, საზარლად ჩხაოდნენ და მწვეტიანი ნისკარტებით იმუქრებოდნენ. შიშველა მოგრძო თავზე კიდევ, სიკვდილს დიდი ყორანი ეჯდა, აქეთ-იქით გადად-გადმოდიოდა, აფრთხიალებდა შავ ფრთებსა და ძალზე ჩხაოდა.

შევარდენი ხვიხვინებდა, იკრებდა უკანასკნელ ძალღონეს, კვნესოდა, ღრღნიდა მიწას, ეკრობოდა შიშით, გულსაკლავად ფრუტუნებდა, აჩრდილი კიდევ... სულ ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა.

შორიდან ძაღლის ყეფა მოისმა.

თათუნამ მოირბინა თავის მეგობართან.

შევარდენმა ვეღარ იცნო თავისი დიდი ხნის ამხანაგი.

თათუნა ულოკავდა თავ-პირსა, უკაწრიდა, ჭეჭყავდა, და მერე თითქოს უნდა ხალხს დაუძახოსო, გამორბოდა მინდორ-მინდორ, ბრუნდებოდა, სთხრიდა მიწას, ყმუოდა და შველას ითხოვდა.

შევარდენი კი გულადმა ეგდო და კვდებოდა.

ბალახები წყნარად ჩასცქეროდნენ დის თვალებში, ხეები უახლოვდებოდნენ და ეპოტინებოდნენ მჭრელ კლანჭებიან ტოტებით, მინდორი საბედისწეროდ ხმაურობდა, ფრინველები მიჩუმებულიყვნენ. წყალს არ გაჰქონდა ჩახჩახი, ათასი ცოცხალი არსება მიცოცავდა შევარდენთან, ათასი ხმა და თათი გამოწვდილიყო მომაკვდავისაკენ. საზეიმოდ გამზადებული მთელი ცოცხალი ბუნება სულ-განაბული უცქერდა ვარსკვლავების თვალებით ცხენსა,—თქარა-თქური კიდევ უფრო მკაფიოდ ისმოდა, ყორნები უფრო და უფრო საზარლად ჩხაოდნენ, აჩრდილი უფრო და უფრო ახლოვდებოდა...

ძაღლს შიშით ბალანი აებურძგნა, საშინლად დაიკვნესა და მორთო განწირულებით გულსაკლავი ყმუილი.

ი. სონღულაშვილისა.

კულტურული საქმიანობა სოფლად

III

სოფლის სკოლები.

ყოველ გვარ კულტურულ საქმიანობის საფუძვლიანობისათვის ხალხში, აუცილებლად საჭიროა, სულ ცოტა, წერა-კითხვის ცოდნის გავრცელება მაინც. ეს გარემოება, ყველა ცოტად თუ ბევრად, ხეირიანად მოწყობილ სახელმწიფოში უცილობელ ჭეშმარიტებად არის აღიარებული და ამიტომაცაა რომ ამ გვარ სახელმწიფოებში უპირველესი ყურადღება სწორედ ხალხში პირველდაწყებით სწავლასა აქვს მიქცეული. ეს ითქმის დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოზედ, სადაც მომეტებულ შემთხვევაში პირველ-დაწყებითი სწავლა სავალდებულოდ გახდა კანონითა და ამ საგანზედ იხარჯება დიდი ნაწილი ამ სახელმწიფოების ბიუჯეტისა; ამავე გზას ადგია, სხვათა შორის, ბულგარეთიც, რომლის ტირნოვოს კონსტიტუციის ძალით, კარგა ხანია პირველ-დაწყებითი სწავლა ყველასთვის სავალდებულოა და ეს გარემოება კი, სხვათა შორის, უნდა ერთ უმთავრეს მიზეზად ჩაითვალოს, ბოლგარეთის დღევანდელ ძლევა-მოსილობისა. ამ პირველდაწყებით სწავლის სავალდებულოდ გახდა და მისი სისრულეში მოსაყვანად ბიუჯეტიდან შესაფერ თანხის გადადება ყოველ წლივ. აღნიშნულ სახელმწიფოებს საშვალებას აძლევს მთელი სოფლები სასწავლებლებით მოჰფინონ. მაგრამ, ეს სრულიად საკმარისი არ იქნებოდა რომ ხალხი ისეთის გულმოდგინებით არ მოჰკიდებოდა სწავლის საქმეს და ყველა ამ გარემოებასთან ერთად ყურადღება არ მიექციათ სკოლების ტიპებისათვის. ეს გარემოებაც არ იქმნა უყურადღებოდ დატოვებული და სწავლა-აღზდის საქმე ევროპის სახელმწიფოებ ს სოფლებში ასეთ ნიადაგზედ არის დღეს დაყენებული, რომ სავალდებულოც რომ არ იყვეს სწავლის მიღება, მცხოვრებნი უიმისოდაც ისწავლიან, რადგან ამ სკოლებში მიღებული სწავლა არამცთუ მხოლოდ წერა-კითხვას აძლევს არამედ მათ ხდის ნამდვილ მოქალაქედ და, რაც უფრო საყურადღებოა, მომეტებულ შემთხვევაში ამასთანავე აძლევს მოსწავლეს სოფლის პირობებთან შეფერებულ პრაქტიკულ ხასიათის ცოდნას. მართლადაც და უბრალო პირველ დაწყებით სკოლებშიაც კი, სადაც ჩვენი „ან-ბანი“-ც კი ხეირიანად ვერ ეთვისება ბავშვებს, ინგლისში, შვეიცარიაში და პატარა სახელმწიფოთა შორის ბულგარეთშიც, ასწავლიან წერა-კითხვის, სამღთო წერილის და ანგარიშის გარდა, სამშობლო ისტორიას, გეოგრაფიას, სამოქალაქო ისტორიას, კანონმდებლობას, და ყველა ამის გარდა რამე შესაფერ პრაქტიკულ ხასიათის ცოდნას, იქნება იგი მეურნეობა, თუ სხვა რამ ხელობა.

ჩვენში კი სულ სხვას ვხედავთ და ეს იმიტომ კი არა რომ მართველ წრეებს არ ჰქონდეთ შეგნებული მნიშვნელობა სწავლა აღზდისა; პირიქით, შეგნებული აქვთ, მაგრამ ამ შეგნებას ყოველთვის უქვემდებარებენ „სახელმწიფო მოსაზრებას“ და ესაა უმთავრესი მიზეზი რომ სასკოლო საკითხი ორჭოფულ მდგომარეობაშია, როგორ სიმრავლის ისე შინაარსის მირხვ! დღევანდლამდის, მართალია, აარსებდნენ სკოლებს, მაგრამ ისე კანტი-კუნტად რომ ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინედ ერთი სკოლა საშუალო რიცხვით 10 სოფელზედ თუ მოვიდოდა; განსაკუთრებით ეს ითქმის ჩვენ ქართულ სოფლებზედ, რადგანაც რუსეთში სამინისტრო სკოლების გარდა არსებობენ საერობო სკოლებიც. ამის დასამტკიცებლად სტატისტიკური ცნობებიც არ არის საჭირო ეს სრულიად ცხადია ყველასთვის ვინც კი თვალ ყურს ადევნებს ჩვენ ცხოვრებას. რაც შეეხება ჩვენ სოფლებს ამისათვის კი საკმარისად მიმაჩნია

ის მცირეოდენი ცნობებიც კი, რომელიც მე შევაგ
როვე სიღ. მაზრაში: წინა მხრის და უკანა მხრის
რაიონების შემოვლით. შარშან 1911 წ., წინამხა-
რში იყო 20 სკოლა, აქედამ 7 სამინისტრო და
ცამეტი სამრევლო, ამ წინამხარში არის 25 სო-
ფელი. სამრევლო სკოლები მომეტებულ წილად
არიან იქ, საცა სამინისტროებია, ესე რომ ამ რაი-
ონში სკოლებია მხოლოდ 25 სოფლიდან 12-შია,
ამ წინამხარში მცხოვრებთა რაოდენობა უდრის
30.194 სულს ორივე სქესისა, ესე რომ თითო სკო-
სკოლაზედ მოდის დაახლოვებით 2,509 სული. ეს
შედარებით უკეთესი მდგომარეობაა; სულ სხვა სუ-
რათს წარმოადგენს უკანა მხარი—20 სოფელსა და
27 ათასი მცხოვრებზედ იყო 1911 წ. მხოლოდ სა-
მინისტრო სკოლა: კაკაბეთისა და ყანდაურისა. ასე-
თი ადგილები ჩვენ ქვეყანაში, როგორიც არის უკა-
ნა მხარი შესამჩნევად ბევრია. მას შემდგომ კი,
რაც სახელმწიფო სათათბიროში საყოველთაო სწავ-
ლის გასავრცელებლად შესაფერი თანხა გადაიდო,
ჩვენშიაც სკოლების გავრცელების მხრივ სურათი
ცოტად თუ ბევრად იცვლება: გაზეთებს თითქმის
ყოველ დღე მოაქვთ ცნობები ახალ-ახალ ადგილს
სკოლების გახსნის ნებართვის გამოთხოვნის შესახებ
თვით უკანა მხარშიაც კი უკვე ორ სამ ალა-
გას ნება აქვთ დართული სკოლის გახსნაზე;
მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც დიდი იმედი
არ უნდა გვქონდეს ამ სკოლებით ყვე-
ლა ჩვენის სოფლების მოფენისა, რადგანაც სკო-
ლის დასაარსებლად საჭიროა სოფელმან თვით იკი-
სროს შენობის ნახევარი ღირებულება, რაც უდრის
არა ნაკლებ 1000 მან და ეს კი ბევრს ათქმევინებს
უარს. ეს კიდევ არაფერი, რომ ყველა სოფელშიაც
დაარსდეს სკოლა, უნდა დარწმუნებული ვიყვნეთ
რომ ამ სახით, რა სახითაც იგი არსდება, ვერაფერ
სარგებლობას ვერ მოუტანს ხალხსა და ისიც მალე
აუყრის გულსა და შეიძლება შვილები არც
კი მისცენ, მართლაც ამ სკოლებიდგან გამო-
ტანილი სწავლა, რომ იტყვიან „არც სულს
ეკვრის და არც გულსაო“ სწორედ ისეა. სურვილი,
ორი სამი წლის განმავლობაში ქართველი ბავშვები
რუსულ ენაზედ მოლაპარაკედ აქციონ, ართმევს სა-
შუალებას ბავშვს არამთუ რაიმე ცოდნა გამოიტა-
ნოს, სკოლიდან, ან დაინტერესდეს რითიმე, რომ
ბოლოს გაღვიძებულმა თვით შეავსოს სკოლის და-
ნაკლისი, არამედ ბავშვი უბრალო წერა-კითხვასაც
ვერა სწავლობს საშობლო ენაზედ; ესაა მიზეზი
რომ ჩვენი გლეხი, როცა მას შეეკითხებიან
ხოლმე სკოლის გახსნაზედ (აღსანიშნავია რომ
გლეხს მხოლოდ ასეთ მისთვის სასარაებლო საქმის
გაკეთების დროს შეეკითხებიან ხოლმე და ნებარ-
თვას სთხოვენ, როგორც არის სკოლა—ე. ი. მი-
ცემის დროს და არა გამორთმევისა), იგი უარს აც-
ხადებს; თუმცა სკოლის შენობის ნახევარ ხარჯი და
სხვა სასკოლო ხარჯიც უძნელებენ საქმეს, მაგრამ
ყოველთვის როცა კი გლეხს ებაასები სკოლის სა-
ჭიროების შესახებ მის ლაპარაკიდან ნათლად დაი-
ნახავთ მის უკმაყოფილებას უმთავრესად სწავლის
შედეგებით: ამ ასე, მაგალითად „ჩვენმა ტეტიაანთ
აბრამამ კი არ ასწავლა შვილს, რომ ეხლა აღარც
კი ეკარება ხალხს და დანარჩენი შვილებისაგან სა-
ლანძღავი საქმე გაუხადა“ ან კიდევ „ჩვენებიათ
მიტრუამაც გამოიყვანა შვილი ღვდლად, რომ
ეხლა მამას აღარც კი კადრულობს“ და ბევრი
სხვა ამისთანა; ყველა ეს მოწმობს რამდენად მათ
გამოუსადეგრად მიაჩნიათ დღევანდელი სწავლა-აღ-
ზდა და ეს ასეც უნდა იყვეს, რადგანაც ჩვენი გლე-
ხი, როგორც ყოველი მისი გარემოებაში მყოფი,
ყველაფერს, და მასთან სწავლასაც-აღზდასაც, უპირ-
ველესად ყოვლისა სარგებლობის მხრივ უყურებს;
რომ ეს ასეა, ამის დასასაბუთებლად საკმარისია მო-
ვიყვანო იმავე სიღნაღის მაზრაში შეკრებილი ცნო-
ბები: აღმოჩნდა რომ თცმცა სკოლაში ყოხელ
წლივ აბარებენ არა ნაკლებ 30—40 ყმაწვილისა,
ათავებს კი, საშუალო რიცხვით 4—3 ყმაწვილი;
ამ გარემოებას ხშირად ხსნიან იმით, რომ ვითომ
ბავშვი, განსაკუთრებით ვაჟი, გლეხს, რაკი მოიზ-
დება, სახლში სჭირდება და ამიტომ ერთი ან ორი
წლის უკან გამოჰყავს სკოლიდან შვილი, მაგრამ ეს
მოსაზრება ბათილდება როცა გავიხსენებთ ისეთ
სკოლებს საცა ან-ბანის გარდა, ასწავლიან—აძლე-
ვენ რამე პრაქტიკულ ხასიათის ცოდნას: ხელოსნო-
ბას, ჭრა-კერვის და სხვა; სხვათა შორის შემოვ-
ლილ სკოლებში არის ერთი ამისთანა, სახელ-
დობრ, ველისციხისა, აქ აღმოჩნდა რომ მოსწავ-
ლეთა რიცხვი ერთი ათად მეტია და მომეტებული
წილი შვილებს სწავლის დამთავრებამდის სტოვებს;
ესევეა სოფელ რუისის შკოლაში (გორის მაზრა)
საცა, ეს ორი წელიწადია, ორ-კლასიანად გადაკეთ-
და და ჭრა-კერვასაც ასწავლიან. უნდა ნახოთ, გა-
სათხოვარი ქალებიც კი მოჰყავთ სკოლაში. ეს ჩა-
მოთვლილი მცირე მაგალითები იმის მაჩვენებელია,
თუ რამდენად მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ ხა-
სიათის სკოლებს; არა ნაკლები მნიშვნელობა, თუ
უპირველესი არა, აქვს მასწავლებლის პიროვნებას,

როგორც ბავშვის აღზდაში ისე მშობლების დაინტერესებაში. იქ, საცა მასწავლებელი რიგიანია, ეს მის თავისი მოვალება და ფხას იჩენს, არა სცდილობს მხოლოდ იმაზედ, რომ დაიმსახუროს ბრძანებელთა მადლობა, არამედ წმინდათ შეასრულოთავისი მოვალეობა და ან-ბანის მშრალად დაზეპირების გარდა, ფიქრობს დაინტერესოს მოსწავლენი წიგნების წაკითხვით, საღამოების მართვით და სხვა, საქმეც უკეთესად არის; ამ გვარ მასწავლებელს მშობლებიც უფრო ნდობით ეკიდებიან და ბავშვებსაც ბოლომდის სტოვებენ; მაგრამ სამწუხაროდ ამ გვარი მასწავლებელნი ჩვენში სანთლით საძებნელია: 28 მასწავლებელში, რომელნიც ვინახულე, სულ მცირედი აღმოჩნდა საშუალო სასწავლებელ-დამთავრებული და ესეც უმთავრესად ქალები, და დანარჩენები კი ან სასულიერო ორ-კლასიან სასწავლებლიდან ან კიდევ პროგიმნაზია გათავებულნი იყვნენ და მომეტებულ ამათგანს კი მასწავლებლობისა იმდენივე ესმოდათ რამდენიც მე ჩინური ენისა. და ამიტომ იყო, რომ ზოგიერთ მასწავლებელს გაკვეთილის დროს ბავშვები მიეტოვებინათ და ღვინის მოვაჭრეებს ევაჭრებოდნენ *).

დამეთანხმებით რომ ამ პირობებში, რაც გინდ ძიელ ჰქონდეს შეგნება ცოდნის შეძენის სარგებლობისა, გლეხს ვერ დავემდურებით რატომ შვილი სკოლიში არ მოჰყავს და სკოლას პმტივს არ სცემს. ვერც მოვთხოვთ შემდეგში, თუ სკოლის ტიპი არ შეიცვალა; ამისთვის კი საჭიროა, სკოლა შეეფერებოდეს ხალხის ცხოვრებას, აკმაყოფილებდეს მის მოთხოვნილებას; სახელდობრ სკოლა უნდა უფასო იყვეს, სწავლის კურსი არა ნაკლებ 6 წლისა, რომლის განმავლობაში ისწავლებოდეს სასამშობლო ენაზედ წერა-კითხვას, ანგარიშის სამღრთო წერილს გარდა, სამშობლო ისტორია, სამოქალაქო ისტორია, ეცნობოდეს კანონმდებლობას და ამასთანავე აუცილებლად უნდა ეძლევოდეს მოსწავლეს პრაქტიკულ ხასიათის ცოდნა, შესაფერი ჩვენი სოფლისათვის. უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მასწავლებლების შედგენილებას უნდა მიექცეს: გაუკეთესდეს როგორც გონებრივად ისე ნივთიერად; ეს საჭიროა, რომ დღესვე მოხდეს, რათა იგინი ნამდვილი, მასწავლებელნი იყვნენ და არა მაწვალებელნი, ჯ ცოტაოდნად მაინც დააკმაყოფილონ გლეხის გაღვიძებული სურვილი სწავლისადმი.

*) ალმოჩნდა რომ ერთი მასწავლებელი წიადაწინ იკვეთავს გაჭირებულ გლეხთაგან გაცემულ ფულში ღვინოს და შემოდგომაზედ მეტ ფასში ჰყიდის—ჩარჩობს.

რადგანაც ჩვენი ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. ბევრად არაფრით განირჩევიან ზემოაღნიშნულ სამინისტრო სკოლებისაგან, ამიტომ საჭიროა ეს საზოგადოება მაინც შეეცადოს და რამდენიმე სამაგალითო სასწავლებელი გახსნას, თუნდა იმისთვის შემცირებაც მოუნდეს არსებულ სკოლებისა, ეს მით უმეტეს, რომ ნაკლები რიცხვით, მაგრამ შინაარსით სამაგალითო, უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე აწ არსებული შედარებით მრავალ-რიცხოვანი სკოლები.

მროველი.

სასოფლო პრესა

ჩვენი სასოფლო გაზეთები: „ხმა კახეთისა“ და „ქართლი“ ხანდახან ფრიად საყურადღებო წერილებსა ჰბეჭდავენ მეურნეობის შესახებ. უკანასკნელ დროს „ხმა კახეთისა“ დაჟინებით ჩივის თაგვის გაფთრებულ შესევას სიღნაღის მაზრაში. თაგვი მართლაც საშინელი მტერია და მით უფრო საშიში, რომ ძლიერ სწრაფი გამრავლება იცის. ეს ჭირი ძნელად მოისპობა კერძო თაოსნობით და თანხით თუ, ნამეტნავად, დიდ მანძილზეა მოდებული. აქ უფრო საზოგადოებრივი შველაა საჭირო.

ერობა ამ შემთხვევაშიაც უებარ წამალს გამოუნახავდა მაგრამ...

ეხლა კი, სამეურნეო საზოგადოება, ქართული და საიმპერატორო, მოვალენი არიან ყურადღება მიაქციონ ამ სენს და მედგარი ომი გამოუცხადონ ფილოქსერაზედ საშინელ მტერს. ეხლა, როცა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი დიდის მოწყალებით უცქერის ყველა სასოფლო-სამეურნეო საქმეს, დაწყობილს საზოგადოებისაგან, მოვალენი ვართ ვისარგებლოთ ამითაც, ჩვენი ენერგია და ძალა არ დავზოგოთ, ჩვენი წვლილი გავიღოთ, რომ მთავრობამაც მხარი დაგვიჭიროს. იმედია, ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო ღირსეულ ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს.

——

„ქართლი“ ოცნებობს ქართლის და საქართველოს სილამაზეზედ (№ 60) და სტირის მისი მეურნეობის საცოდავ მდგომარეობაზედ. მართლაც განა სატირელი არ არის, ის ქვეყანა, რომელიც ისე უხვად დაჯილდოებულია ბუნებისაგან ყოველგვარი მცენარით, მადანით, წყლით, მიწის სინოყიერით და სხ. და სხვა.,—უნდა ყველაზედ ღარიბი, საცოდავი და

მშიერი ხალხის პატრონი იყვეს? ჩვენს ქვეყანას, რომ ხეირიანი პატრონი ჰყავდეს, განა სამოთხე სანატრელი და საოცნებო ღა იქნებოდა? განა რიონი, მტკვარი, ალაზანი არ გარდიქცეოდნენ ედემის მდინარეებად, რომელთ ნაპირები აყვავდებოდნენ ვენახ-ბაღებით, ოქროს ყანებით და სიმდიდრით არ აღივსებოდა ქართველთა ერი.

წავიდა ის დრო, როცა მარტო ომს მოჰქონდა ნადავლიც და აოხრებაც. წავიდა ის დროც, როცა ქართველ ხალხს ზარმაცობა და ლოთუმბაშობა ჰბრალდებოდა. ქართველი ხალხი, გლეხკაცობა და მუშები ყოველთვის შრომის მოყვარენი და ოფლის დამღვრელნი იყვნენ, მხოლოდ ასი წლის უსაქმურობით გათახსირებული თავად-აზნაურობა და მათგან გამოსული ინტელიგენცია ჰქმნიდა იმ ლეგენდას, რომ ქართველებს შნო არა გვაქვს, ძალა და უნარი არ შეგვწევს პატიოსანი ორგანიზაციისათვის შრომისა და სისტემატიურად გონების და ხელის განძრევისათვის. ეს ის დრო იყო, როცა სუსტი, ძარღვებ დაჭერილი ინტელიგენცია მარტო სიტყვიერად და მწერლობით სცდილობდა კულტურის შექმნას; თითონ კი მონაწილეობას არ იღებდა მატერიალურ კულტურის და სიმდიდრის შექმნაში, არ შეეძლო და ხალხსაც ამასვე სწამებდა. განა დღეს კი არ არიან ისეთნი, რომელნიც მარტო დასტირიან თავის ბედს და ხალხს ახვევენ თავზედ თავის სასოწარკვეთილებას? მაგრამ აქა-იქ იღვიძებს ინტელიგენციაც, თავის სისხლშიაც გრძნობს შემოქმედების და შრომის სურვილს და შეძლებას.

მაგრამ ვისაც ნამდვილად გული შესტკივა სამშობლოზედ—ის უნდა ეცადოს ხალხს გაუნათოს გზა, ასწავლოს მოხმარება თავისი ძალისა, ასწავლოს თუ **როგორ** არის საჭირო მუშაობა, რომ შრომის ნაყოფი ტკბილი იყოს და მრავალი.

ამისთვის კი მარტოოდენ გატაცება არა კმარა მაღალი იდეებით, ან იმისთანა თეორიებით, რომელნიც ვითომ პანაცეად გადაექცევიან ხალხს და ერთის ხელის მოსმით ააყვავებენ სამშობლოს. ქვეყნის აყვავებას სისტემატიური ცოდნა, სისტემატიური, მედგარი მუშაობა სჭირია და ეს მხნე და მუდმივი შრომა მხოლოდ გლეხს შეუძლიან აიტანოს და იქ უნდა მივმართოთ. ჩვენი ძალები, იმას უნდა ვასწავლოთ ორგანიზაცია მუშაობისა, თორემ ინტელიგენტური კოოპერატივებით, ინტელიგენტური მეურნეობით ჩვენ მარტო თავის თავს მოვატყუებთ და საკუთარი ბაღის აყვავებას მთელი ქვეყნის აყვავებად მივიჩნევთ. მარტო გლეხს, მუშის მარჯვენას შეუძლიან განახორციელოს და სავსებით ამოშრიტოს მეცნიერების ნაცადი საშუალებანი ცხოვრებაში, მარტო ჯანსაღ მეურნეს შეუძლიან მოჰკიდოს ხელი წესიერად მიწის ყოველგვარ შემუშავებას. ამისათვის კი ჩვენი ინტელიგენცია მეტად ნიათ გამოლეულია და მარტოოდენ მუშაზედ უნდა დაემყაროს.

აი ამიტომ არის, რომ ჩვენ მარტო ვოცნებობთ და გვსურს, გულმხურვალედ გვსურს ხალხის და სამშობლოს აყვავება... მაგრამ ყველა ოცნებათა რჩება, რადგან ჩვენ ბევრჯელ ჩვენი ხელით გვინდა ავაყვავოთ, როცა ხელის მაგიერ მარტო თეორიული მოსაზრებანი გვაქვს. ეს კი მთელ ხალხს არ უნდა მოვახვიოთ ბრალად. აი, უყურეთ ინტელიგენციის ოცნებას, რომელმაც გორშიაც ამოყო თავი: მშვენიერი, საუცხოო მიზანი დაუსახავთ და სასოფლო გაზეთები ამ მხრივ ბევრად უკეთესს და ძვირფას მოვლენას წარმოადგენს, ვიდრე თბილისისა, მაგრამ შეხედეთ იმ კითხვებს, რომლებიც უნდა **გადასწყვიტონ** ამ თვის 29-ს გორელმა მემამულეებმა და თქვენ მაშინვე მიხვდებით, რომ ეს ოცნებაა:

1) შექმნა-დამუშავება განსაკუთრებულ ხილის ბაღებისა და სანერგეებისა.

2) სამაგალითო საფუტკრეს დაარსება.

3) მეაბრეშუმეობა.

4) ფრინველის მოშენება.

5) მერძეობა და რძის გასაღება.

6) საქონლის მოსაშენებელ სადგურის აგება.

7) საცდელ მინდვრების გაშენება.

8) დაარსება ქ. გორში სამეურნეო იარაღების საწყობისა და ცნობების მიმცემ კანტორისა.

9) სამეურნეო ცოდნათა მაგალითის მაჩვენებელ სადგურის გახსნა.

10) ხანგრძლივის ვადით რომელიმე მამულის იჯარით აღება.

11) ქართულ სამეურნეო საზოგადოებას მიერ მოწყობა ამ საქმისა გორის ინტელიგენტთა დახმარებით.

და 12) გორის საურთიერთო ბანკში შენახულ სამეურნეო თანხის გამოთხოვა.

ყველა ეს მუხლი ცალ-ცალკე განსახორციელებლად, მოითხოვს აუარებელ ფულს, მუშა ხელს და ცოდნას. მათი შეერთება და გაძღოლა მჭიდროდ დაყენებულ და მდიდარ საზოგადოებასაც გაუჭირდებოდა—და გორის მემამულეები არა თუ ვერ შესძლებენ იმის განხორციელებას, ხეირიანად გადაწყვეტასაც კი—ბევრად უკეთესი იქნებოდა და მართლაც პრაქ-

ტიკულ ნიადაგზე იდგებოდა მომავალი (ან იქნება კიდეც წარსული) კრება, რომ ერთერთ საკითხზედ ეზრუნა და ღირსეულ ბოლომდე მიეყვანა. აი თუნდა პირველი მუხლისა, რომელიც შეეგუება, როგორც გორის მაზრის მეურნეობას, აგრეთვე დახმარებას და თანაგრძნობას გამოიწვევდა უკვე არსებულ საზოგადოებისაგან და ხილის ბაღების პატრონებისაგან. და ამ საკითხის გაფართოება ყოველთვის შეუძლიან მომავალ საზოგადოებას (?) თუ ამხანაგობას საკოოპერაციო საწყობით და მაღაზიებით გორში და სხვა ქალაქებში, საუკეთესო და იაფი ხილის გასასაღებლად. შემდეგ, ბაზრის გაფართოვება და თავად საქმისა, აჩვენებდა საზოგადოებას, თუ რა იქნებოდა საჭირო. თორემ ეხლავე 12 დიდმნიშვნელოვანი მუხლის „გადაწყვეტა“ და მათი ხელის მოკიდება ქართველური ოცნება იქნებოდა.

ყველა ამასთან ვუსურვებთ დღეგრძელობას ჩვენს სასოფლო გაზეთებს, რომელთაც ჩვენს უკუღმართ ღროს ხალხს უნდა სკოლის მაგიერობა გაუწიონ თითქმის, და, როგორც უფრო მახლობელნი ხალხთან, სოფელთან, ხელმძღვანელად გადაექცნენ ყოველს პრაქტიკულ საქმეში და ცალკე, კერძო მოქმედებანი ერთმიზნიან სისტემად შეაერთონ.

სამეურნეო სწავლა-განათლება ბულგარეთში და სერბიაში

ცნობილია, რომ ამ პატარა ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებამ უკანასკნელ დროს შესამჩნევად წაიწია წინ და შესანიშნავად იფურჩქნება და ვითარდება. და თუ დღევანდელი საშინელი სისხლის მღვრელი ომიანობა ძალზე არ დაასუსტებს მათ, მაშინ ამ პაწაწუნა სამეფოებს შეეძლებათ სამაგალითოდ მოაწყონ თავისი ცხოვრება.

გარანტიად ამას უდევს გონიერი პოლიტიკა ამ ქვეყნების მთავრობისა,—სამეურნეო ცოდნის, განათლების გავრცელება ჩანერგვა ხალხის ფართო წრეებში.

უმთავრესი ყურადღება, როგორც სერბიისა ისე ბულგარეთისა მიქცეულია ახალგაზრდობისაკენ და მართლაც რომ არავითარ საშუალებას და ხარჯს არ ზოგავენ რომ, რაც შეიძლება მეტი ყმაწვილკაცობა დააყენონ ამ გზაზედ.

ხსენებული ქვეყნები, სხვათა შორის, მრავალ ახალგაზრდობას ჰგზავნიან სამეურნეო სწავლის მიღებისათვის საზღვარ გარედ, უმთავრესად საფრანგეთში როცა ახალგაზრდა ყმაწვილი, გაათავებს ხოლმე დაბალ ან საშუალო სამეურნეო სასწავლებელს სამშობლოში, იგი იგზავნება მთავრობის ხარჯით საზღვარ-გარედ, პრაქტიკულ და მეცნიერულ ცოდნის განსავითარებლად.

მაგრამ, ამ სამეურნეო განათლების პოლიტიკას საფუძვლად სისტემაც უდევს, რომელსაც ორივე მხარე, როგორც მთავრობა, ისე მოსწავლე ახალგაზრდობა სასტიკად იცავს.

მაგალითად, მათი სამეურნეო სპეციალიზაცია საზღვარ გარედ სამი ხარისხისაა. პირველი—დაბალი, არის პრაქტიკული მუშაობა ყმაწვილებისა ფერმებზედ, ფაბრიკებზედ, სამაგალითო ღვინის საწყობებში, ვენახებში და სხვა. ამნაირ მუშაობაზედ ახალგაზრდები იგზავნებიან 1—3 წლით და მათ ეძლევა მთავრობისაგან დახმარება 100—150 მანეთამდე თვეში, რომლის (50%) მომავალში, როცა ყმაწვილი კაცი სამშობლოში ადგილს გაიჩენს, მთავრობა ჯამაგირიდან უჭერს.

მეორე ხარისხის განათლებას შეადგენს—საფრანგეთის საშუალო—საპრაქტიკო სკოლის კურსის დამთავრება (2—3 წელიწადი). დახმარებას აქაც მთავრობა უწევს და აძლევს იმდენს, რამდენიც უჭირთ (ე. ი. მხედველობაში იღებენ ცხოვრების პირობებს ამა თუ იმ ქალაქისა, სადაც ყმაწვილი სწავლობს).

მესამეში,—ახალგაზრდა ყმაწვილმა უნდა დაამთავროს იმავ საფრანგეთში მთლიანი კურსი უმაღლეს ნაციონალურ სამეურნეო სკოლისა (საფრანგეთში ამგვარი სკოლა მარტო 3-ა). ამ სკოლაში სწავლა გრძელდება 3 წლამდის. ერთს წელიწადს კურს-დამთავრებული ანდომებს პროფესორთან თანამშრომლობას—როგორც ასისტენტი, ანუ იქაურადს ტაჟიერი.

სხვათა შორის, ამ გაგზავნილ ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას, ბულგარეთის და სერბიის მთავრობა სასტიკ თვალყურს ადევნებს. ამისათვის ის სასწავლებლები ან სამეურნეო დაწესებულებანი, საცა მათი ახალგაზრდობა მუშაობს, დავალებულნი არიან მიაწოდონ მთავრობას წელიწადში 4 ჯერ დაწვრილებითი ანგარიშები ყმაწვილების სწავლა მუშაობისა. დრო გამოშვებით თხოულობენ ამ მოქმედების ფოტოგრაფიულ დასურათებასაც კი!

და ამ მოთხოვნილებას დიდის სიამოვნებით და ყურადღებით ასრულებენ უცხოელი პროფესორები, ფერმერები, ფაბრიკანტები და აწვდიან ყოველ გვარ ცნობებს და ანგარიშებს ბულგარიას და სერბიას.

როცა ნასწავლი ახალგაზრდა აგრონომები სამშობლოში ბრუნდებიან, მათი მთავრობა, უმეტეს შემთხვევაში, ადგილებს უჩენს. ვინც მარტო პრაქტიკული მუშაობა გაიარა, მას იღებენ სახელმწიფო დაწესებულებებში, ფერმებში, კერძო მემამულეები; ვინც საშუალო პრაქტიკული სკოლა გაათავა,— ინიშნება მასწავლებლად სამეურნეო საშუალო სკოლებში. და ვინც უმაღლესი—რაიონის პროფესორად, უფროს სპეციალურ აგრონომად და სხვა. მათი ჯამაგირები სამშობლოში იწყობა 75 მან. და საშუალოდ ადის 100—150 მანეთამდე თვეში.

ასე სისტემატიურად, ხსენებული პაწია ქვეყნები აწყობენ თავის მეურნეობის განვითარებას და უხსნიან კარს თავის ხალხს მომავალ კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებისაკენ.

მათი ამნაირი მოღვაწეობა, კიდევ ერთი მაგალითია ჩვენი ქვეყნისთვისაც რომ, სანამ ქართველობა ამ დარგს სერიოზულ ყურადღებას არ მიაქცევს და არ მიეშველება მას მცოდნე და მუშაკი ხალხით,— აგრონომებით, ტეხნიკებით, ინჟინერებით, კოოპერატორებით, მისი ცხოვრება სიღარიბეს და სიბეჩავეს თავს ვერ დააღწევს.

ჩვენი აღორძინებისათვის კი, აუცილებლად საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობაც ამ გზაზე დავაყენოთ.

დ. ვ.

ახალი ამბები

ჩვენა გვწერენ, რომ ამ წლის ქრისტიშობისთვის შუა რიცხვებში სიღნაღის მაზრაში მოხდება კახელ მევენახეთა კრება. უმთავრესი განსახილველი საკითხები ამ კრებისა, სხვათა შორის, იქნება: ფილოქსერის შემოსევის წინააღმდეგ ზომების მიღება, ამერიკულ ვაზის სანერგეების გაშენება, წონით გაყიდვა ღვინისა და სხვა საკითხები, რომელნიც საზოგადოთ შეეხებიან კახეთის მევენახეობას და მეღვინეობას.

———

ახალშენში და გურჯაანში (კახეთი), როგორც გავიგეთ, საკრედიტო ამხანაგობანი აპირობენ ფრიად მნიშვნელოვან საქმის დაწყობას: მომხმარებელ საზოგადოებების დაარსებას, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება შეძენა და გაყიდვა სხვა და სხვა სამეურნეო იარაღებისა, შაბიამანისა, გოგირდისა და სხვა. ახაშენში 30 წევრი ჩეეწერა კიდეც. საწევრო გადასახადი ერთი თუმანია. დამფუძნებელი კრება შესდგა და გაუგზავნა გუბერნატორს დასამტკიცებლად თხოვნა და წესდება. საზოგადოებას ეწოდა სახელად „ნორჩი“-

———

დღეს სოფ. მცხეთაში 12 საათზედ ბატონი ლ. ცაგარელი მოახდენს დემონსტრაციას მის მიერ გამოგონილ ახალ კონსტრუქციის გუთნისას.

ფასი ევროპის საერთო ომიანობისა („З. Ж“.).

თუ სამთა კავშირის და სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა შორის გაჩაღდება ომი იმის გამო, ჰქონდეს თუ არა სერბიას ნავთსადგური ადრიატიკის ზღვაზედ, ევროპის სახელმწიფონი იძულებულნი იქნებიან დასძრან 20 მილიონი ჯარის-კაცი და 10 მილიონი მათგანი ბრძოლის ველზედ გამოიყვანონ. ეს მობილიზაცია, ოფიციალურის ცნობებით, საზღვაო და ხმელეთის ჯარების ანგარიშით გამოიხატებოდა:

გერმანიაში . .	3,600,000	კაცი
ინგლისში . .	1,500,000	„
საფრანგეთში .	3,400,000	„
იტალიაში . .	2,800,000	„
ავსტრო-უნგრეთში	2,600,000	„
რუმინიაში . .	300,000	„
რუსეთში . .	7,000,000	„
	სულ. 21,200,000	კაცი.

თუ ომი დაიწყო იმ საკითხის გამოისობით, შეუძლიან სერბიას იყოლიოს ფლოტი თუ არა, ევროპას დასჭირდება დღეში გაიღოს **ასიდგან ასორმოცდაათ მილიონამდე მანეთი**, იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც მოუვა დაბა-ქალაქების დაქცევით, ჯარის სანოვაგით და ტყვია-წამლით და სხ. (არ მოგვყავს დაწვრილებითი ანგარიში). ამას უნდა მიუმატოთ წახდენა საომარი სურსათისა, რომელიც დაახლოვებით უდრის ხოლმე ერთ მესამედს და თუ ეს გავყავით 30-ზედ (იმ მოსაზრებით, თუ ევროპის ომიც 30 დღეზედ მეტს არ გასტანს, როგორც ბალკანეთისა), მაშინ ამ სურსათისათვისაც უნდა ვიანგარიშოთ დღეში 9—14 მილიონი.

თუ გაჩაღდა ევროპის ცეცხლი სერბიის ნავთსადგურის საკითხის გარშემო, 14 დღის განმავლობაში იქნება დაჭრილი არა ნაკლებ 500,000 და მოკლული 100,000-სა. ეს, დაახლოვებით ასჯერ მეტი იქნება დურაცოს და ალესიოს მცხოვრებთა რიცხვზედ ერთად...

თუ ეს ომი აინთო სერბიის ნავთსადგურის გამოისობით, უმეტესი ნაწილი ევროპის ფაბრიკებისა იძულებულნი იქნებიან დაიკეტონ, დიდი ნაწილი დამუშავებულ მიწისა გადაიქცევა უდაბნოდ, ვაჭრობა შეჩერდება, ბანკები გაკოტრდებიან.

თუ ეს ომი აინთო იმის გამო, იყოს ალესიო სერბიისა თუ ალბანიის ნავთსადგურად, გავრცელდება ჟამი და შიმშილი ლონდონში, ბერლინში და პარიზში, ვენაში და მოსკოვში, მილანში და

რომში, რადგან სანოვაგე ნაკლებად შემოვა, სიჯანსაღე იკლებს და ვერ გაუმაგრდება სხვა და სხვა ჯარით შემოტანილ ჭირსა. სულ უკანასკნელი, ოცი მილიონი ოჯახი ძალვრის ცრემლს და დაგლახაკდება და გაივლის ნახევარ საუკუნე, ვიდრე დასცხრება შუღლი და მტრობა და ყველაფერი დონეზედ დადგება.

Charles Richet

პროფესორი პარიზის უნივერსიტეტისა.
თავმჯდომარე მშვიდობიანობის საზოგადოების საფრანგეთში.

ჩვენი თეატრები

სახალხო სახლის დარბაზში, 26-ს გიორგობისთვეს საღამოზე, მე განვიცადე არა ჩვეულებრივი სიამოვნება, სიამოვნება წმინდა მხატვრულ შემოქმედებისა, სიამოვნება, რომელსაც განიცდის ხოლმე მაყურებელი იმ თეატრში, რომლის სცენაზედაც ყოველივე არტისტი სცოცხლობს და არა მარტოოდენ მოქმედებს; სცოცხლობს მაღალისა და სპეტაკის მიზნით ამოძრავებული.

ყველა მათგანსა სურდა ხალხთან ერთად მიეღო მონაწილეობა ხალხის საყვარელ და ნიჭიერ შვილის დღესასწაულში... და ეს საკმარისი იყო, რომ არც ერთს მათგანს არ დაეზოგა არც ნიჭი და არც მეცადინეობა და თავის გულწრფელ სიხარულით, ზუბალაშვილის სახლში გამართული საღამო ხალხის ნამდვილ სადღესასწაულო საღამოდ გადაექცია.

საერთოდ, სამივე პიესის ნაწყვეტს, „მსხვერპლსა“, „ტაინი სოიეტნიკის სიზმარსა“, და „ხანუმასაც“ შესამჩნევლად ეტყობოდა აგრეთვე მცოდნე და ნიჭიერ რეჟისორის ხელი.

იშვიათის გემოვნებით და უნარით იყო მოწყობილი „მსხვერპლის“ პირველი მოქმედების სცენა, რომელიც წარმოადგენს დუქანსა და სასოფლო სამმართველოს წინ სოფლელთა ყრილობის ალაგს.

ვ. გამყრელიძის და ნ. გოცირიძის ნიჭიერ და დაკვირვებულ თამაშს გარდა, არა ერთ დამსწრე პირის ყურადღება მიიქცია აგრეთვე მასიურმა სცენამ (მსხვერპლში), რომელსაც ეტყობოდა იმავე რეჟისორის უნარიანი და დაუღალავი ხელი.

მკაფიოდ და ხელოვნურის გადაუმეტებლობით დაგვიხატა ბენეფიციანტმა „ნერვებ აშლილ“ ტაინი სოვეტნიკის ტიპი.

მხიარულად და ცოცხლად ჩაიარა აგრეთვე უკანასკნელმა წარმოდგენამ, „ხანუმამ“. დაუსრულებელი სიცილი და ტაშის ცემა გამოიწვია, როგორც თვით ბენეფიციანტის, ისე ე. ჩერქეზიშვილის მოხდენილმა თამაშმა.

წარმოდგენას ბლომად დაესწრო საზოგადოება და ბევრი საჩუქრებითაც დააჯილდოვა საყვარელი არტისტი ქართული სცენისა.

— —

ქართული თეატრი რამდენადაც სასიამოვნო და საინტერესო იყო ბენეფისი გოცირიძისა, იმდენად უფერული და უშნო—ბენეფისი ქ-ნ ჯავახიშვილისა. არ ვიცი, რატომ მოსვლია ფიქრად ასეთი პასუხისმგებელი როლის თამაში, როგორიც არის როლი ზეინაბისა, ქ-ნ ჯავახიშვილს, რომლის ნიჭი უფრო კომიკურია. პირდაპირ შესაბრალისი იყო ზეინაბის მდგომარეობა, რომლის რთული ფსიხოლოგია ჯავახიშვილის თამაშში უბრალო ლაპარაკად გადაიქცა. ზეინაბი, სხვა არა იყოს რა, თითქო ლამაზიც უნდა იყვეს და... მაგრამ სხვებიც არ ჩამორჩნენ ზეინაბს და „დალატი“, რომელიც ისე ბლომად იზიდავს ხოლმე ხალხს, სრულიად გააფუჭეს. არც კ. მესხი, არც ვ. გუნია გუნებიანად არა თამაშობდნენ. გაიანე ხომ 16-ს მაგიერ ოცდათექვსმეტის წლისა იყო, სახე-დანაოჭებული და „ცქრიალა“ როგორც..... ეჰ, ცუდი იყო, ცუდი. საზოგადოთ, ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანა ყველამ, თითქო განგებ შეეცვალათ ყველა როლები და სცდიდნენ თავის თავსა. ცდა ბედის მონახევრე კი არა, უბედობის სრული პატრონი გამოვიდა. გაიანე და ოთარბეგი უადრეს ტრაგიკულ მომენტს, როცა ირაკლის შემოიტანენ მკვდარსა, იცინოდნენ. და არც შეიძლებოდა არ ეცინათ, ისე უშნოდ იქცეოდა ჯავახიშვილი, რომელიც „კაროჟნას“ გვაგონებდა. თვით ყოველთვის შეგნებული შალიკაშვილიც კი უხერხულად გრძნობდა თავსა და უადგილო ადგილას იყო მისი სოლეიმანობა. აღმოსავლეთური ფატალიზმისა მას არა ეცხო რა.

სხვებიც... ფერი ფერსაო, რომ იტყვიან, ისეთები იყვნენ. არა უშავდარა ქ-ნ ქიქოძეს—ასხარს. ქ-ნ გოგოლაშვილს კი, რომელსაც თითქო ღვთიური ნაპერწკალი უღვივის ნიჭისა, ამ დღეს მეტად მოუხეშავი იყო. კოხტა, უმანკო, სრიალა ანკარას მაგიერ, სცენაზედ დაბობღავდა თავისი ჩაჩულის კაბით და განიერშალვარ-პაიჭით თათრის გომბიო.

საწყალი სუმბათაშვილი, მოიფიქრებდა განა, რომ ზეინაბს ასე აწამებდნენ. ან რად გასჭირდა ჯავახიშვილს ასეთი ბენეფისი, სადაც ოფიციალური თაიგულის მეტი არაფერი ამტკიცებდა ზეიმობას. მაგრამ ესეც ქართული ჩვეულებაა: თუ ერთ რაშიმე ნიჭი გამოვიჩინეთ, ასე გვგონიათ ყველაფერში დახელოვნებული ვართ. ან იქნება სიტყვა ტრაგედია ბერძნულად ესმით: „ტრაღოს ვიდეო“, ე. ი. თხის სიმღერაო?

— —

ხუთშაბათს იყო ბენეფისი ნიჭიერ მსახიობ ე. ჩერქეზიშვილისა. გვიკვირს რად ამოურჩევია „ჩვენს ლიზას“ ასეთი უნიჭო, უაზრო და უფერული პიესა? გვიკვირს, დრამატიული საზოგადოება რად ღალავს ხალხსა ასეთის სცოდავი ნაბლაჯნებით?

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი"-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა": ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ლექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა": ღვინის გადაღებ-გადმოღება

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი" დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის" საზოგადოების წევრებს აქვთ 688½ დესეტინა ვენახი, საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთოგაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოვადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების" გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

საზოგადოების აღრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი"

ელექტრომბეჭდავი სტამბა ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.